



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47

2018 წლის 10 აპრილი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ და საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №20 დადგენილების დანართში (www.matsne.gov.ge, 27/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016372) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ვ) ძვირადღირებული მედიკამენტები, რომელთა ერთეულის ღირებულება შეადგენს 50.00 (ორმოცდაათი) ლარს და ზევით. მაქსიმალური ლიმიტი - 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის მაქსიმალური ლიმიტი - 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი. მოსარგებლები:

- ვ.ა) სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);
- ვ.ბ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;
- ვ.გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში შშმ) პირები;
- ვ.დ) ონკოლოგიური ავადმყოფები;
- ვ.ე) ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტი, გლავუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი



ბესიკ ჭყეია